

ვისცერული ლეიშმანიოზი

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია

(გაიდლაინი)

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) „ვისცერული ლეიშმანიოზი“ მიღებულია კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს 2008 წლის 5 ნოემბრის №1 სხდომაზე და დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის № 145/მ ბრძანებით.

გისცერული ლეიშმანიოზი

1. დაავადების დეფინიცია, სინონიმები, კლასიფიკაცია და ტერმინოლოგია

დაავადების დეფინიცია

ვისცერული ლეიშმანიოზი ტრანსმისიული პროტოზოული დაავადებაა. მისთვის დამახასიათებელია უპირატესად ქრონიკული მიმდინარეობა, ტალღისებური ცხელება, სპლენოპატომეგალია, პროგრესირებადი ანემია, ლეიკოპენია, თრომბოციტოპენია, კახექსია.

დაავადების სინონიმები

ინდოეთში: ცხელება დუმ-დუმი, ბურვან-ცხელება, კალადუხი, კალა-აზარი, ასამის ცხელება; ჩინეთში: ინ-ჰი, ხმელთაშუა ზღვისპირეთში: პონსი, ცანაკი, Anaemia splenica infantum, ტროპიკული სპლენომეგალია.

დაავადების კლასიფიკაცია

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დაავადებათა კლასიფიკაციის და კოდირების სისტემის მიხედვით (Disease classification and coding systems DIMDI-ICD-10WHO) ვისცერული ლეიშმანიოზი მიეკუთვნება პროტოზოულ დაავადებათა ჯგუფს. კოდი **B 55.**

ტერმინლოგია

ამასტიგოტი – ლეიშმანიას უშოლტო ფორმა, გვხვდება ხერხემლიანების მონოუკლეარულ-ფაგოციტურ სისტემაში;

გლიკოპროტეინი 63 (GP) – ლეიშმანიას მემბრანის გლიკოპროტეინი;

კალა-აზარი – "კალა"-ჟავი, ინდური ანთროპონოზური ვისცერული ლეიშმანიოზი;

ლიანფოსფოგლიკანი (LPG) – ლეიშმანიას მემბრანის ზედაპირული გლიკოლიპიდი;

პრომასტიგოტი – ლეიშმანიას შოლტიანი ფორმა, გვხვდება მოსკიტის ორგანიზმში, კულტურაში;

პირველადი აფექტი – მოსკიტის კბენის ადგილზე წარმოქმნილი დია ვარდისფერი ან მსუბუქად პიგმენტირებული კვანძი. შედგება დაინვაზიებული მაკროფაგების, პლაზმური უჯრედებისა და T ლიმფოციტებისაგან;

ფლებოტომუსი – მოსკიტების ოჯახის ერთ-ერთი გვარი, რომელშიც გაერთიანებულია ლეიშმანიოზის გადამტანები;

CD – იმუნოკომპეტენტური უჯრედის მემბრანის ზედაპირზე არსებული მადიფერენცირებელი რეცეპტორი. სტრუქტურულად წარმოადგენენ გლიკოპროტეიდებს;

CD4 T – T ლიმფოციტები ჰელპერული ფენოტიპით;

CDTH1 – T ჰელპერების სუბპოპულაცია, ასტიმულირებს უჯრედულ იმუნიტეტს;

CDTH2 – T ჰელპერების სუბპოპულაცია, ააქტივებს ჰემორულ იმუნიტეტს.

2. ვაიდემიოლოგია

ვისცერული ლეიშმანიოზი მსოფლიოს 88 ქვეყანაში ენდემური დაავადებაა. იგი გავრცელებულია ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატის ქვეყნებში, 40° ჩრდილოეთ ნახევარსფეროსა და 15° სამხრეთ ნახევარსფეროს შორის, დედამიწის ყველა კონტინენტზე, გარდა ავსტრალიისა. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოში ლეიშმანიოზით ინვაზირებულია 14 მილიონი ადამიანი, ყოველწლიურად ადგილი აქვს აღნიშნული დაავადების 2 მილიონ ახალ შემთხვევას, აქედან 500000 წარმოადგენს ვისცერულ ლეიშმანიოზს. დაავადების შემთხვევების 90% გვხვდება განვითარებად ქვეყნებში. ყოველწლიურად ლეიშმანიოზისგან მსოფლიოში იღუპება 40000-800000 ადამიანი. (AI)(8,18,19,20) დაავადების ფართოდ გავრცელება უკავშირდება:

- სტიქიურ უბედურებებს;
- მასობრივ მიგრაციებს;
- სამოქალაქო არეულობებს;

საქართველოში ვისცერული ლეიშმანიოზი გავრცელებულია ქვეყნის ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში (15). ამჟამად ძირითად კერად ითვლება ქ. თბილისი და მის აღმოსავლეთით მდებარე რაონები.

დღეისათვის აღიარებულია ადამიანისათვის პათოგენური **Leishmania**-ს გვარის 4 სახეობა: **L.donovani infantum**-ი, **L. donovani archibaldi**, **L.donovani donovani** და **L. chagasi**. **L. donovani infantum**-ი და **L.archibaldi** იწვევს ხმელთაშუა ზღვის ვისცერულ ლეიშმანიოზს. იგი გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვისპირეთში (სამხრეთ ევროპის, წინა აზიის და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები): სუდანში, კენიაში, ეთიოპიაში, ნიგერიაში, სომალიში, ესპანეთში, იტალიაში, სამხრეთ საფრანგეთში, თურქმენეთში, უზბეკეთში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში და რიგ სხვა ქვეყნებში. **L. donovani donovani** გავრცელებულია ინდოეთში და იწვევს ტიპიურ ინდურ ანთროპონოზურ ლეიშმანიოზს (ინდური კალა-აზარი), ხოლო **L. chagasi** გვხვდება ამერიკის კონტინენტზე და იწვევს ე.წ ახალი სამყაროს ვისცერულ ლეიშმანიოზს. **L.chagasi** მიიჩნევა **L. donovani infantum**-ის ქვესახეობად. (AI) (5,8,16,18)

არჩევენ ანთროპონოზურ და ზოონოზურ ვისცერულ ლეიშმანიოზს. ანთროპონოზური ვისცერული ლეიშმანიოზის დროს დაავადების წყაროს წარმოადგენს მხოლოდ ადამიანი. მას იწვევს **L. donovani** და გავრცელებულია ძირითადად ინდოეთში, ჩინეთის ზოგიერთ პროვინციასა და აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებში (სუდანი, კენია, ეთიოპია, სომალი). ანთროპონოზური ლეიშმანიოზი არ გვხვდება ახალი სამყაროს ქვეყნებში. (AI)

ზოონოზური ვისცერული ლეიშმანიოზის დროს დაავადების წყაროს წარმოადგენს ძაღლი, აგრეთვე სხვადასხვა ცხოველი მტაცებლისა და მღრღნელების რიგიდან. საქართველოში გავრცელებულია, ხმელთაშუა ზღვის ვისცერული ლეიშმანიოზი, წარმოადგენს ზოონოზს. არსებობს ინვაზიის კერის 3 ტიპი:

- ბუნებრივი კერები – ამ კერებში ლეიშმანიების რეზერვუარს წარმოადგენს გარეული ცხოველები (ტურა, მელა, მღრღნელები) (1);
- სოფლის კერები – გავრცელებულია როგორც ძაღლებში, ისე გარეულ ცხოველებში (1);
- ქალაქის კერები – ძირითადად გავრცელებულია ძაღლებში, თუმცა შესაძლებელია სინანტროპულ თაგვებში (1).


ადამიანის დაავადების ძირითად წყაროს წარმოადგენს ძაღლები.

ვისცერული ლეიშმანიოზის გადაცემის მთავარი მექანიზმი არის ტრანსმისიული—ფლებოტომუსის გვარის დაინვაზირებული მოსკიტების კბენის შედეგად, თუმცა შესაძლებელია ჰემოტრანსფუზიის გზითაც (A1) (19). იშვიათ შემთხვევებში ინფექცია გადაცემა დედიდან ნაყოფს, ასევე შესაძლებელია მოხდეს გადაცემა პარაზიტის კულტურაზე მუშაობისას, როცა უსაფრთხოების ზომები არ არის დაცული (19).

დაავადების გადამტანებს წარმოადგენენ მოსკიტები. თანამედროვე კლასიფიკაციით მოსკიტები წარმოდგენილია 4 გვარით: **Phlebotomus-ი, Sergentomyia, Lutzomyia** და **Brumtomyi**. მათგან ვისცერული ლეიშმანიოზის გადამტანები არინ **Phlebotomus-ი** (ძველი სამყაროს ქვეყნებში) და **Lutzomyia** (ახალი სამყაროს ქვეყნებში). მსოფლიოში ცნობილია ფლებოტომუსის 14 სახეობა, აქედან საქართველოში აღმოჩენილია **P. Kandelaki** და **P.Balcanicus-ი**, თუმცა ამ უკანასკნელის როლი დაავადების გადაცემაში ბოლომდე შესწავლილი არ არის. აღნიშნული მოსკიტები გვხვდება ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, რაც განსაზღვრავს ამ დაავადების გავრცელების არეალსაც. ფლებოტომუსების აქტივობა სეზონურია და გრძელდება მაისიდან სექტემბრამდე.

საქართველოში დაავადება ძირითადად გვხვდებოდა სპორადიული შემთხვევების სახით, თუმცა ბოლო წლებში ადგილი აქვს შემთხვევათა სარწმუნო მატებას.

ვისცერული ლეიშმანიოზის შემთხვევები საქართველოში



პროგნოზი

- ვისცერული ლეიშმანიოზის დროული დიაგნოსტიკისას (სიცოცხლისათვის საშიში გართულებების დაწყებამდე) და მკურნალობისას პროგნოზი დადგებითია 90 %-ში (8,19,20);
- დაგვიანებულ და მკურნალობის გარეშე შემთხვევებში ლეტალობა აღწევს 90-95%-ს (8,19,20);

- ეფექტური ანტილეიშმანიოზური თერაპიის დროს სხეულის ტემპერატურა ნორმალიზდება ერთი კვირის განმავლობაში, ხოლო კლინიკო-ლაბორატორიული მაჩვენებლები უმჯობესდება ორი კვირის განმავლობაში (19).


3. ეტიოპათოგენეზი

ვისცერული ლეიშმანიოზის გამომწვევია პროტოზოა Leishmania-ს გვარიდან. იგი მიეცუთვნება **Tripanosomatidae-ს** ოჯახს, **Flagellata-ს** კლასს, **Protozoa-ს** ტიპს.


ლეიშმანიების სასიცოცხლო ციკლი მიმდინარეობს მასპინძლის ცვლით და შედგება ორი სტადიისაგან: ამასტიგომოფური (უშოლტო), რომელიც მიმდინარეობს ადამიანის და სხვა ხერხემლიანების ორგანიზმში (საბოლოო მასპინძელი) და პრომასტიგომოფური (შოლტიანი) – მოსკიტის ორგანიზმში.

ამასტიგომოფურებს გააჩნიათ ოვალური ან სფეროსებური ფორმა, ზომით 3-5X1-3გმ, გიმზა-რომანოვსკის წესით შეღებვისას დიფერენცირდება ჰომოგენური ან ვაკუოლიზირებული ცისფერი პროტოპლაზმა, მოწითალი-ლალისფერი ბირთვი და მცირე ზომის დამატებითი ბირთვი-ბლეფაროპლასტი. ასეთი ლეიშმანიების ნახვა შესაძლებელია ხერხემლიანების მონონუკლეარულ-ფაგოციტურ სისტემის უჯრედებში.

პრომასტიგომოფური თითისტარისებური ფორმისაა, ზომით 10-20გმX4-6გმ, მათი შეღებვისას ბირთვთან ერთად ვიზუალიზირდება შოლტიც.



სურ 1. ამასტიგომოფური ძვლის ტვინში



სურ. 2 პრომასტიგოტები მოსკიტის ორგანიზმში

ლეიშმანიების მემბრანას გააჩნია მნიშვნელოვანი ზედაპირული კომპონენტები, რომლებიც იცავენ მასპინძლის იმუნური სისტემის პასუხისაგან და აძლიერებენ მათ ინგაზიურობას. აღნიშნულს მიეკუთვნება ლიპოფოსფოგლიკანი (LPG) და გლიკოპროტეინი—GGP63. გარდა ამისა, არსებობს სხვა ზედაპირული მოლეკულები, რომლებიც საკმარისად არ არის შესწავლილი: მემბრანასთან შეკავშირებული მუავაფოსფატაზა, ატფ-ზა, გლუკოზის მატრანსპორტირებელი ცილა, GP- 46 (8).

ფლებოტომუსის კებნის შედეგად სისხლში მოხვედრილი პრომასტიგოტები ექსპოზიცირდება კომპლემენტოან. მათი ნაწილი ექსტრაცელულური ფერმენტების საშუალებით გადაურჩება კომპლემენტის სისტემას და ხვდება მაკროფაგებში. დაინვაზიებული მაკროფაგები ლოკალიზდება გროვებად, ყალიბდება სპეციფიური გრანულომა კ.წ პირველადი აფექტი, რომელიც, ასევე შედგება პლაზმური უჯრედებისა და T ლიმფოციტებისაგან. რამდენიმე კვირაში გრანულომა იწყებს უკავანითარებას და უკალოდ ქრება. პროცესი შეიძლება ამ ეტაპზე დამთავრდეს ან მოხდეს მისი შემდგომი დისემინაცია (5,8,15).

მაკროფაგებში პრომატიგოტი კარგავს შოლტს და გადაიქცევა ამასტიგოტად. ეს უკანასკნელი ფაგოლიზოსომებში დესტრუქციას არ განიცდიან და მრავლდებიან მანამ, სანამ მაკროფაგი არ დაიშლება, გამოთავისუფლებული ამასტიგოტები კი შეიჭრებიან სხვა მაკროფაგებში. დაინვაზიებულ მაკროფაგებში ზოგიერთი ლეიშმანია იშლება, ლეიშმანიოზური ანტიგენები უკავშირდება ჰისტოშეთავსების ძირითადი კომპლექსის მოლეკულებს. ამ უკანასკნელის მე-2 კლასის მოლეკულები გამოიტანს ლეიშმანიას ანტიგენს მაკროფაგის უჯრედის ზედაპირზე. აღნიშნულ ანტიგენს უკავშირდება CD4TH1 უჯრედები, ხდება T ლიმფოციტების აქტივაცია, გამოიყოფა IL2 და IFN γ . (არსებობს აგრეთვე ანტიგენის წარმდგენი კ.წ დენდრიტული უჯრედებიც). აქტივირებული CD4+ TH1 ასტიმულირებს მაკროფაგებს, აქტივირებული მაკროფაგები კი გამოიყოფენ IL12-ს და სიმსივნის ნეკროზის ფაქტორს (TNF) (5,8,15). დაავადების გამოსავალი დამოკიდებულია CD4 უჯრედების სუბტიპებს შორის ბალანსზე.

TH1 უჯრედული რეაქცია იწვევს:

- უჯრედული იმუნიტეტის (ფაგოციტოზზე დამოკიდებულ იმუნიტეტი)
- სტიმულაციას;

- იცავს ინფექციის დისიმინაციისაგან;
- გამოყოფს IFN γ, IL 2, ციტოტოქსიურ მოლეკულებს.

TH2 უზრუნველყოფს:

- ჰუმორული იმუნიტეტის სტიმულაციას;
- ვერ ახორციელებს ინფექციის გავრცელების კონტროლს, რის გამოც ხდება დაავადების პროგრესირება;
- იწვევს ციტოკინების გამოთავისუფლებას;
- ახდენს უჯრედული რეაქციის ინპიბირებას.

აღწერილი პათოგენეზური პროცესის შედეგად ხდება სამიზნე ორგანოების: ელექტროს, ლიმფოს, ძვლის ტვინს, ლიმფური კვანძების დაზიანება. ვითარდება სპეციფიური ინტოქსიკაცია, რეტიკულო-ენდოთელიარული სისტემის უჯრედების პიპერპლაზია, ძვლის ტვინის სისხლმბადი ფუნქციის დართგუნვა, ანემის და კახექსიის განვითარება. გრანულოციტოპენიის და აგრანულოციტოზის გამო ხშირია მეორადი ბაქტერიული ინფექციები. ელექტროზი რეტიკულო-პისტოციტური და ლიმფოიდური ქსოვილის უხვი ზრდა იწვევს ზეწოლას ელექტროზის ვენაზე, რის გამოც ადგილი აქვს სისხლის ნორმალური ნაკადის შემცირებას ელექტროზის ვენიდან კარის ვენაში, რამაც შესაძლებელია შორს წასულ შემთხვევებში (<10%) გამოიწვიოს პორტული პიპერტენზია (დვიძლგარეთა პრესინუსონდური ფორმა). ამ ფორმის დროს დვიძლის ფუნქციები, როგორც წესი ნორმალური ან მცირედ დარღვეულია. მიუხედავად პორტული ნაკადის შემცირებისა, ციროზული პროცესები არ ვითარდება (BII) (3,5,8).

4. პლინიპური სიმპოზიატიპა

გავრცელების არეალის მიხედვით არჩევენ ვისცერული ლეიშმანიოზის 4 ძირითად ფორმას:

- ხმელთაშუა ზღვის;
- ინდოეთის;
- აღმოსავლეთ აფრიკის;
- სამხრეთ ამერიკის.

აღნიშნული ფორმების კლინიკური სურათი ძირითადად ურთიერთმსგავსია. საქართველოში გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის ვისცერული ლეიშმანიოზი. დაავადების ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 20 დღიდან 10 თვემდე და უფრო მეტსანს (2 წლამდე), საშუალოდ 5-6 თვე. აღწერილია ხანმოკლე (10 დღემდე) ინკუბაციური პერიოდიც. დაავადების მიმდინარეობის მიხედვით არსებობს შემდეგი კლასიფიკაცია:

- მწვავე;
- ქვემწვავე;
- ქრონიკული;

მწვავე ფორმა – გავრცელებულია ძირითადად ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში, გრძელდება 2-3 თვე, მიმდინარეობს მძიმედ და ხასიათდება მაღალი ლეტალობით.

ქვემწევე ფორმა – მიმდინარეობს საშუალო სიმძიმით, გრძელდება 5-6 თვე, სიმპტომატიკის თანდათან დამძიმებით და ხშირი გართულებებით.

ქრონიკული ფორმა – გვხვდება ყველაზე ხშირად, გრძელდება 6 თვეზე დიდხანს, ახასიათებს შედარებით კეთილთვისებიანი მიმდინარეობა ხანგრძლივი რემისიებით. გავრცელებულია ძირითადად უფროსი ასაკის ბავშვებში და მოზრდილებში.

დაავადების მიმდინარეობაში არჩევენ სამ პერიოდს:

- დასაწყისს;
- კლინიკური სურათის გამოხატვის;
- ტერმინალურს.

დასაწყის პერიოდი გრძელდება დაახლოებით 20-30 დღე, გამოხატულია საერთო სისუსტე, მადის დაჭვებითება, ადინამია, ოფლიანობა, წონის დაკარგვა.

კლინიკური სურათის გამოხატვის პერიოდში წამყვანი კლინიკური სიმპტომია ცხელება, რომელიც ატარებს ტალღისებურ ხასიათს, სიცხიანი პერიოდების და რემისიების მონაცელებით. ცხელება მერყეობს რამდენიმე დღიდან რამდენიმე თვემდე, ასევე ვარიაბილურია რემისიების ხანგრძლივობაც. ტემპერატურას ახასიათებს მერყეობა დღე-დღის განმავლობაში ე.წ. როჯერსის სანთლები. ძალიან იშვიათად მოზრდილ ადამიანებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ლეიშმანიოზის უსიცხო მიმდინარეობას სპლენომეგალიის ფონზე (**AI**) (1).

პროგრესირებადი ანემიის გამო თანდათან ვითარდება კანის და ლორწოვანი გარსების ძლიერი სიფერმერთალე. იშვიათ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს კანის საფარველის და სკლერების სიყვითლეს. ინდური ანთროპონოზური ლეიშმანიოზის დროს კანი მუქი, თითქმის შავი შეფერილობისაა (აქედან ტერმინი – კალა-აზარი-შავი დაავადება), რაც თირკმელზედა ჯირკვლის ჰიპერფუნქციის შედეგია და დაკავშირებულია ამ ორგანოს მაკროფაგების ლეიშმანიებით დაინვაზიებასთან (**AI**) (1,2,8,13).

ვისცერული ლეიშმანიოზის დროს თმა კარგავს ელვარებას, ხდება მტვრევადი, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ბუდობრივ ცვენას (alopecia areata), ცალკეულ შემთხვევებში გამოხატულია ჭარბი თმიანობა სხეულზე, მეტად კუდუსუნის და ხერხემლის პროექციაზე, კიდურებზე (თირკმელზედა ჯირკვლის დაზიანების გამო). გამოჯანმრთელებასთან ერთად ჭარბი თმიანობა თანდათან ქრება, ხოლო თმიანი საფარველი ღებულობს ჩვეულებრივ სახეს (1).

გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ ცვლილებები განპირობებულია ანემიით და ინტენსივურით. ადგილი აქვს ტაქიკარდიას, გულის ტონების მოყრუებას, სხვადასხვა ინტენსივობის სისტოლურ შუილს, გულის საძგერი გადანაცვლებულია ზემოთ (სპლენოპეპატომეგალიის ხარჯზე დიაფრაგმის მაღლა დგომის გამო).

ვისცერული ლეიოზმანიოზის მუდმივ სიმპტომს წარმოადგენს სპლენოპეპატომეგალია (**AI**). ელექტოს უკავია მუცლის ღრუს შედარებით დიდი ნაწილი, ღვიძლი შედარებით ნაკლებად დიდება. პალპაციით ორივე ორგანო მკვრივი და უმტკივნეულოა (2,4,7,8,9). ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს პერიფერიული, მეზენტერიული, პერიპერინეული და სხვა ჯგუფის ლიმფური კვანძების ლიმფადენიტს.

შარდ-სასქესო სისტემის მხრივ შეიძლება ადგილი ჰქონდეს თირკმლის კონცენტრაციული ფუნქციის დაჭვებისას, რომელის გამოიხატება ჰიპოსტენურით.

შორსწასულ შემთხვევაში და არანამკურნალევ პაციენტებში, ტერმინალურ სტადიაში, ზოგადი მდგომარეობა მძიმდება, ვითარდება კახექსია. ამ დროს ავადმყოფს აქვს სპეციფიური გარეგნული სახე: წვრილი კიდურები და დიდი

მუცელი, რომელზეც კარგად ჩანს ვენური ქსელი (ბაყაფის შესახედაობა). ავადმოფები დებულობენ მიწის ფერს, იშვიათად შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნუშურების და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ნეკროზს, ნომას, ხშირია ჰემორაგიული სინდრომი: სისხლჩაქცევები კანზე, ინექციის ადგილებზე, სისხლდენებს ცხვირიდან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან. მდგომარეობის დამძიმებასთან შეიძლება განვითარდეს მეორადი ჰიპერსპლენიზმი, პორტული ჰიპერტენზია შეშუპება, ასციზი (1,3,4,5,10).

მნიშვნელოვანია ლაბორატორიული მონაცემები. ჰემოგრამაზე ადგილი აქვს: ერთორციტების და ჰემოგლობინის დონის დაქვეითებას $<40-50$ გ/ლ-მდე, ანიზოციტოზს, პოკილოციტოზს, ლეიკოპენიას, ნეიტროპენიას, ლიმფოციტოზს. თრომბოკენიას. მუდმივი ნიშანია ანეოზინოფილია და ედს-ის მკვეთრი აჩქარება, გარდა ზემოაღნიშნულისა ადგილი აქვს ღვიძლის ენზიმების დონის მომატებას, პიპერბილირუბინემიას, პიპოპორტენემიას, ძირითადად ალბუმინების ხარჯზე.

ვისცერული ლეიშმანიოზი იმუნოკომპრომეტირებულ პაციენტებში

ვისცერული ლეიშმანიოზი ხშირად წარმოადგენს ოპორტუნისტურ ინფექციას იმუნოკომპრომეტირებულ ავაღმყოფებში. განსაკუთრებით ხშირია კოინფექცია აიგ-ინფიცირებულ პაციენტებში. ასეთი შემთხვევების რიცხვი იზრდება ყოველწლიურად, განსაკუთრებით კი სამხრეთ ევროპაში. შიდსიან ავაღმყოფებში ლეიშმანიოზის მიმდინარეობას ახასიათებს რიგი თავისებულებანი: (AI) (18,19,20)

- ატიპიური მიმდინარეობა;
 - სპლენომეგალიის არარსებობა;
 - პარაზიტების მაღალი ხარისხი;
 - კანისმიერი დაზიანებები;
 - ნაწლავების და ფილტვების წყლულოვანი დაზიანებები;
 - ინვაზირება ფილტვებში, ნაწლავებში, კანში;
 - ხშირად ვითარდება რეციდივები და რეზისტენტობა.

რეციდივი შიდსიანი ავადმყოფების 80%-ს უკითარდებათ პირველი 6 თვეს განმავლობაში. ავადმყოფების 10-30% იღუპება მკურნალობის დაწყებიდან ერთი თვეს მანძილზე, ხოლო 16% – 3 წლის განმავლობაში (19).


ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରିବାରେ

ვისცერული ლეიშმანიოზის გართულებები ძირითადად გამოწვეულია გრანულოციტოპენით და აგრანულოციტოზით. ჟენდაზე ხშირი გართულებებია: ბრონქიტი, ბრონქოპნევმონია, ოტიტი, ტონზილიტი, პირის ლრუს ლორწოვანის ანთება, წყლულოვანი და აფთოზური სტომატიტი, ნაწლავის ინფექციები, იშვიათად ნეკროზული გინგივიტი და ნომა. თრომბოციტოპენიის გამო ხშირია ჰემორაგიული სინდრომი: სისხლაქცევები კანზე, სისხლდენა ცხვირიდან, ინექციის ადგილებიდან, შინაგანი ორგანოებიდან. დაგადების მდიმე მიმდინარეობისას შესაძლებელია მეორადი ჰიპერსპლენიზმის გამო განვითარდს პორტული ჰიპერტენზია და ასციტი (1,3,5).

ვისცერული ლეიშმანიოზის დროს ელენთის გასკდომა იშვიათი, მაგრამ მძიმე გართულებაა. აღნიშნული განპირობებულია ელენთის კაფსულის, ტრაბეკულების და სისხლძარღვთა კედლის ლიმფოციტური ინფილტრაციით. ამ დროს კლინიკურად ვითარდება ძლიერი ტკივილი მუცლის არეში, ჰემოდინამიკური მაჩვენებლები მაკეთრად უარესდება, ეცემა ჰემოგლობინის დონე. ელენთის გასკდომა წარმოადგენს სასწრაფო ოპერაციული ჩარევის ჩვენებას. მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ფიზიკური დატვირთვისგან თავის შეკავება.



სურ.3 ჰეპატოსპლენომეგალია ვისცერული ლეიშმანიოზის დროს



სურ.4 ჰეპატოსპლენომეგალია ვისცერული ლეიშმანიოზით გარდაცვლილ ბავშვში

ვისცერული ლეიშმანიოზის ერთ-ერთ გართულებას წარმოადგენს პოსტ-კალაზარ-დერმული ლეიშმანიოზი. აღნიშნულ გართულებას იწვევს **L.donovani** და წარმოადგენს ვისცერული ლეიშმანიოზის გვიან კანისმიერ გამოვლინებას. აღნიშნული გართულება არ გვხვდება ახალი სამყაროს ვისცერული ლეიშმანიოზის დროს (**AI**) (6,8).

პოსტ-კალა-აზარ-დერმული ლეიშმანიოზი გვხვდება ორი ფორმის სახით: ინდური და აფრიკული. აღნიშნული გართულება უვითარდებათ ინდოელი ავადმყოფების 6-20%-ს, კენიელი ავადმყოფების 2-5%-ს, ხოლო სუდანში გვხვდება შემთხვევათა 50%-ში. ამ დროს ავადმყოფებს სახეზე და სხეულის სხვა ადგილებში უჩნდებათ დიდი რაოდენობით კვანძები, ერთეულმატოზური ლაქები ან დეპიგმენტაციის უბნები. ამ ელემენტებში, როგორც წესი იმყოფებიან ლეიშმანიები და ხდება ინგაზიის გავრცელება მოსკიტების საშუალებით (ანთროპონოზური ლეიშმანიოზი) (5,7,13).

პოსტ-კალა-აზარ დერმული ლეიშმანიოზი

ინდური	აფრიკული
ვითარდება ვისცერული ლეიშმანიოზის საეციფიური მკურნალობიდან 1-2 წლის შემდეგ	ვითარდება ვისცერული ლეიშმანიოზის მკურნალობისის დამთავრებამდე
პერსისტირებს 20 წელი და მეტი	პერსისტირებს რამდენიმე თვე
იშვიათად იკურნება სპონტანურად	იკურნება სპონტანურად
ჰიპოპიგმენტური ლაქები	ერთეული კვანძი ან კვანძოვანი გამონაყარი
ვითარდება სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე, განსაკუთრებით ტორსზე და კიდურებზე	უპირატესად სახეზე



სურ. 5

ინდური პოსტ-კალა-აზარ-დერმალური
ლეიშმანიოზი



სურ. 6

აფრიკული პოსტ-კალა-აზარ-დერმალური
ლეიშმანიოზი

დაავადების რეციდივი

ვისცერული ლეიშმანიოზის რეციდივი დგინდება სპეციფიური მკურნალობის ჩატარების შემდეგ დაავადების კლინიკური ნიშნების განმეორებით დაფიქსირებისას. დაავადების რეციდივი ვითარდება მკურნალობიდან პირველი 6 თვის მანძილზე და აღენიშნება იმუნოკომპეტენტური პაციენტების $<5\%$ -ს, ხოლო შიდსიან ავადმყოფების $>80\%$ -ს (AI). რაც მეტია დაავადების ხანდაზმულუბა, მით უფრო მატულობს რეციდივის ალბათობა. დაავადების რეციდივზე ეჭვის მიტანისას უნდა მოხდეს ძვლის ტვინის განმეორებითი ასპირაცია. ნაცხში პარაზიტის აღმოჩენისას უნდა ჩატარდეს სპეციფიური მკურნალობის მეორე კურსი (სასურველია სხვა პრეპარატით (BII).

5. დაავადების დიაგნოზი

ვისცერულ ლეიშმანიოზზე საეჭვოდ ითვლება პაციენტი, თუ:

- ცხოვრობს ლეიშმანიოზის ენდემურ კერაში;
- ან
- ბოლო თვეების ან კვირეების მანძილზე იმყოფებოდა აღნიშნულ რეგიონში;
- და
- აღენიშნება არამოტივირებული ცხელება 2 კვირაზე მეტი ხანგრძლივობით;
- ან აქვს სპლენოპეპატომეგალია;
- ან ანემია, ლეიკოპენია, თრომბოციტოპენია;
- ან
- ავადმყოფი აივ-ინფიცირებულია.

დაავადების დიაგნოსტიკა კომპლექსურია და ემყარება ეპიდემიოლოგიურ მონაცემებს, კლინიკურ სურათს და ლაბორატორიულ მონაცემებს (დიაგნოსტიკის წამყვანი კომპონენტი) (AI).

ლეიშმანიოზის სადიაგნოსტიკო ძირითად მეთოდად მიჩნეულია ძვლის ტვინის, ელენთის, ლვიძლის, ლიმფური ჯირკვლის პუნქტატში პარაზიტის აღმოჩენა (AI).

ელენთის პუნქტაციი ამასტიგორებს ნახულობენ 98%-ში, დვიძლის პუნქტით მიღებულ ასპირაციი 60%-ში. თუმცა კლინიკურ პრაქტიკაში ძირითადად დანერგილია ძვლის ტვინის პუნქტია (ტექნიკურად ადვილად განსახორციელებელია და ნაკლებ ტრავმული). პუნქტის წინ აუცილებელია თრომბოციტების რაოდენობის განსაზღვრა (დრმა თრომბოციტოპენიის დროს სისხლის საშიშროება). თუ თრომბოციტების რაოდენობა $<50 \times 10^9$ ლ, მაშინ უნდა მოხდეს თრომბომასის ტრანსფუზია, ხოლო შემდეგ ძვლის ტვინის პუნქტია ან გამოყენებულ იქნას დიაგნოსტიკის ალტერნატიული მეთოდები (პჯრ, სეროლოგიური რეაქციები) პუნქტის შედეგად მიღებული ნაცხები იღებება გიმზა-რომანოვსკის წესით და ხდება მათი მიკროსკოპირება. ამ მეთოდის ეფექტურობა აღწევს 60 - 90% (18,19,20).

თუ ნაცხის მიკროსკოპირება არ იძლევა დადგებით რეზულტატს, მაშინ პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის საშუალებით სპეციფიური ნუკლეინის მჟავეების აღმოჩენა.

შესაძლებელია სეროლოგიური რეაქციების (ლატექს-აგლუტინაციის, კომპლიმენტის შებოჭვის, იმუნოფერმენტული ანალიზის) გამოყენება, თუმცა მათი გამოყენება შეზღუდულია პირველ რიგში სპეციფიურობის და მგრძნობელობის გამო:

1. ცრუ დადებითი შედეგები შესაძლებელია ლეიშმანიოზის სხვადასხვა ფორმების, ტრიანგულობრივი ანალიზის, შისტოსომოზის, მალარიის, ტუბერკულოზის დროს (19);
2. ნამკურნალევ პაციენტებში დიდი ხნის განმავლობაში შესაძლებელია დადგებითი რაექციები (19);
3. ცრუ-უარყოფითი შედეგი (50%) შესაძლებელია აიგ-ინფიცირებულებში შიდსის ბოლო სტადიებზე (19).

დიაგნოსტიკისათვის დამხმარე საშუალებად შესაძლებელია ლეიშმანიების კულტივირება პუნქტით მიღებული მასალიდან (ყოველთვის არა!). პუნქტაციის ჩათესვა ხდება NNN (Nicolle-Novv-Neal) ნიადაგზე. ნიადაგზე კულტურის გაზრდას სჭირდება 1-3 კვირა (19).

ვისცერული ლეიშმანიოზის დროს, გარდა სპეციფიური დიაგნოსტიკისა, აუცილებელია დაავადების სიმძიმის განსაზღვრა და თანმხლები ინფექციის აღმოჩენა. ამისათვის საჭიროა გაკეთდეს:

- სისხლის საერთო ანალიზი;
- შარდის საერთო ანალიზი;
- პროთომბინის განსაზღვრა სისხლში;
- ტრანსამინაზები;
- ბილირუბინი და მისი ფრაქციები;
- კრეატინინი, ელექტროლიტები;
- საერთო ცილა და მისი ფრაქციები;
- შინაგანი ორგანოების ულტრაბგერითი გამოკვლევა;
- ფილტვების რენტგენოლოგიური გამოკვლევა;
- გებ.

დიფერენციალური დიაგნოზი

ვისცერული ლეიშმანიოზის დროს დიფერენციალური დიაგნოზი უნდა გატარდეს შემდეგ დაგადებებთან:

- სისხლის სისტემური დაავადებები;
- მალარია;
- ბრუცელოზი;
- სეფსისი;
- ტიფო-პარატიფოზური ინფექციები;
- ჰეპატიტები.


6. ბამოკვლევის სქემა

6.1 გამოკვლევის სქემა პირველადი ჯანდაცვის რგოლისათვის (ალგორითმი)

კლინიკური ნიშნები: ცხელება ან/და ერთი რომელიმე ნიშანი სპლენოპეპატომეგალია, ანემია, პანციტოპენია




და ერთი ეპიდემიოლოგიური კრიტერიუმი:
ცხოვრობს ლეიშმანიოზის ენდემურ კერაში
ბოლო თვეების ან კვირეების მანძილზე
იმყოფებოდა ლეიშმანიოზის კერაში



ვისცერული ლეიშმანიოზის საჭირო
შემთხვევა

ნიშანი სახეზე არ არის




პაციენტი იგზავნება
სპეციალიზირებულ კლინიკაში
შემდგომი გამოკვლევისა და
კლინიკური მართვისათვის



ვისცერული
ლეიშმანიოზი
გამორიცხულია

6.2 გამოკვლევის სქემა სპეციალიზირებული კლინიკისათვის (ალგორითმი)



7. მკურნალობის სქემა

ვისცერული ლეიშმანიოზის მკურნალობა სტაციონარულია. დაავადების პირველი 2-3 კვირის განმავლიბაში აუცილებელია წოლითი რეჟიმი. რეკომენდებულია მაღალკალორიული და ვიტამინებით მდიდარი საკვები.

სპეციფიური მკურნალობა:

1 ჯგუფი – ხუთვალენტიანი ანთიმონის პრეპარატი:

- მეგლუმინის ანთიმონიატი – შეიცავს 85მგ/მლ Sb5;
- ნატრიუმის სთიბოგლუკონატი – შეიცავს 100მგ /მლ Sb5.

ანთიმონის პრეპარატები გასული საუკუნის 70-80-იანი წლებიდან სტანდარტულად გამოიყენება ლეიშმანიოზის სამკურნალოდ. 1982 წლიდან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით დოზა გაიზარდა 10 მგ/კგ-დან 20 მგ-მდე/კგ-ზე ანთიმონის შემცველობის მიხედვით (მაქსიმალურად 850 მგ დღე-დამეში). ჯანმოს მიერ მოვინანებით რეკომენდირებული იქნა 20 მგ/კგ-ზე ანთიმონის შემცველობის მიხედვით მაქსიმალური დოზის შეუზღუდავად (**AI**) (18,19,20). აღნიშნული პრეპარატები გამოიყენება ინტრამუსკულარული ინექციების სახით 20-28 დღის განმავლობაში. დღეს შეუავთ დოზის 1/4, მე-2 დღეს, მე-3 დღეს 2/3, ხოლო მე-4 დღიდან სრული დოზა.

პრეპარატის გამოყენების უკუჩვენებას წარმოადგენს ღვიძლის და თირკმლის ფუნქციის მძიმე დარღვევა, ფილტვის ტუბერკულოზი, გულ-სისხლძარღვთა სისტემის მძიმე დაავადებები, სიფრთხილით ინიშნება ორსულებში, მკურნალობის პროცესში ლაქტაცია უნდა შეწყდეს.

პრეპარატის გვერდითი მოვლენები ძირითადად დაკავშირებულია ანთიმონის კუმულაციასთან. შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხეულის ტემპარატურის მომატებას, მიალგიას, ართორალგიას, ღებინებას, აბდომინურ სიმპტომატიკას (შესაძლებელია პანკრეატიტი), თავის ტკივილს, შექცევად პერიფერიულ ნეიროპათიას, ცვლილებებს ეპგ-ზე (PQ ინტერვალის გახანგრძლივება, რითმის დარღვევები), ზოგჯერ მძიმე ალერგიულ რეაქციებს.

გლუკანტიმით მკურნალობის პროცესში საჭიროა განხორციელდეს შემდეგ სახის მონიტორინგი: (**AI**) (19)

კვირაში ერთხელ:

- სისხლის საერთო ანალიზი;
- ტრანსამინაზები;
- ამილაზა;
- ლიპაზა.

კვირაში ორჯერ:

- ეპბ.

თერაპია უნდა შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

- ST სეგმენტის დეპრესია;
- QT ინტერვალის შეცვლა (> 500 ms);
- არითმია;
- ტრანსამანაზები 3 ჯერ მეტია ნორმასთან შედარებით;
- ლიპაზა და ამალაზა ნორმაზე 2 ჯერ მეტია.

გლუკანტიმით გურნალობის კურსი შესაძლოა განმეორდეს 14-20 დღის შემდეგ (რეციდივის ან დაავადების ხანდაზმულ შემთხვევებში—დიდი სპლენომეგალიების დროს).

2 ჯგუფი – ამფოტერიცინები

ამფოტერიცინი B-ს გამოყენება ძლიერ შეზღუდულია მაღალი ტოქსიურობის გამო. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში უპირატესობა ენიჭება და აქტიურად განიხილება ამფოტერიცინების ლიპიდო-ასოცირებული ფორმები. აღნიშნული ამფოტერიცინები გვხვდება სამი ნაერთის სახით: (9,14,19)

- ლიპოსომალური ამფოტერიცინი-B
- ამფოტერიცინ B-ს კოლოიდური დისპერსია
- ამფოტერიცინ -B-ს ლიპიდური კომპლექსი

ამფოტერიცინების ლიპიდური ვარიანტები სწრაფად უკავშირდება რეტიკულო-ენდოთელულ სტუქტურებს, რის გამოც აქტიური ნივთიერების კონცენტრაცია თირკმლებში და სისხლში შედარებით დაბალია. სწორედ ამ ფაქტით არის განპირობებული მისი ნაკლები ტოქსიურობა ამფოტერიცინ B-სთან შედარებით. ლიპოსომალური ამფოტერიცინი მაკროფაგების მიერ ტრანსპორტირდება უშუალოდ ინფექციის კერაში. ელენთაში და ღვიძლში არის ძალიან მაღალი კონცენტრაციით. იმუნოკომპეტენტურ ავადმყოფებში ინიშნება ინტრავენური ინფუზიის სახით 3გ/კგ-ზე 5 დღის განმავლობაში, შემდეგ იგივე დოზით მე-14 და 21-ე დღეს. იმუნოკომპორმეტირებულ პაციენტებში ინიშნება 4 მგ/კგ-ზე 5 დღის განმავლობაში, შემდეგ რეციდივის პრიფილაქტიკის მიზნით იგივე დოზით კვირაში ერთჯერ 5 კვირის განმავლობაში. ლიპოსომური ამფოტერიცინები წარმოადგენენ არჩევის პრეპარატს შიდსიან ავადმყოფებში (AI) (9,14,19).

გავრდითი მოვლენები: ალერგიული რეაქციები, თირკმლის, ღვიძლის, ფუნქციის დარღვევა, მიალგიები, ართრალგიები, თრომბოფლებიტი. მკურნალობის პროცესში ლაქტაცია უნდა შეწყდეს. ორსულებში პრეპარატის უსაფრთხოება ბოლომდე შესწავლილი არ არის.

მონიტორინგი:

კვირაში ორჯერ:

- თირკმლის და ღვიძლის ფუნქციები;
- ელექტროლიტები.

თერაპია უნდა შეწყდეს თუ:

- ჰიპოკალიემია $< 3,3$ მმოლ/ლ;
- კრეტინინი ნორმაზე 2 ჯერ მეტი;
- ტრანსამინაზები ნორმაზე 3 ჯერ მეტია.

3 ჯგუფი—დიბენზამიდები

პენტამიდინის იზეთიონატი — მიეკუთვნება დიბენზამიდების ჯგუფს, პრეპარატი ახდენს დნმ-ის სინთეზის დარღვევას, პიმიდინ-სინთეტაზის ბლოკირებას. გამოიყენება 3-4 მგ კგ/ზე ინტრამუსკულური ან ინტრავენური ინექციების სახით დღეგამოშვებით. მკურნალობის კურსი მოიცავს 10 ინექციას.

გაერდითი მოვლენები: პიპოტენზია, პიპოგლიკემია, შარდოვანას და კრეატინინის მომატება, პიპერკალიემია, დებინება, პროტეინურია, მწვავე პანკრეატიტი. პრეპარატი უნდა იყოს შეყვანილი წნევის კონტროლით მწოლიარე მდგომარეობაში, არ იხსნება ფიზიოლოგიურ ხსნარში.

მონიტორინგი:

კვირაში ერთხელ:

- თირკმლის და ღვიძლის ფუნქციები;
- ელექტროლიტები;
- გლუკოზა შრატში.

4 ჯგუფი—მილთეფოსინი

ამფოტერიცინის ლიპიდური ფორმები წარმოადგენს ლეიშმანიოზის სამკურნალო არჩევის პრეპარატს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში (მცირე ტოქსიურობის და დაბალი რეზისტენტობის გამო), თუმცა ის თითქმის არ გამოიყენება განვითარებად ქვეყნებში მაღალი თვითდირებულების გამო. აღნიშნულის გამო დაღგა აუცილებლობა ვისცერული ლეიშმანიოზის სამკურნალო ახალი პრეპარატების სინთეზის. ამ ეტაპზე ინტენსიურად განიხილება ახალი პრეპარატი მილთეფოსინი. ის წარმოადგენს ერთადერთ პრეპარატს პერორალური გამოყენებისათვის. მილთეფოსინი თავდაპირველად სინთეზირებული იყო როგორც სიმსიგნის საწინააღმდეგო საშუალება, მიეკუთვნება ალკილფოსფოქინოლების ჯგუფს, მისი ნახევარდაშლის პერიოდი არის 2-3 კვირა, რის გამოც მაღალია რეზისტენტობის განვითარების რისკი (**BII**). მოქმედების მექანიზმი ბოლომდე შესწავლილი არ არის. ინიშნება 1,5-2,5 მგ/ კგ-ზე თრალურად, 28 დღის განმავლობაში (11,12,19).

გაერდითი მოვლენები: კუჭ-ნაწლავის დისფუნქცია, ფალარათი, დებინება, ტრანსამანაზების და კრეატინინის მომატება.

ჰაშტაგები: მომატებული მგრძნობელობა პრეპარატის მიმართ, ღვიძლის და თირკმლის ფუნქციის მძიმე დარღვევა, ცხიმოვანი ცვლის მოშლა. არ არის დამაჯერებელი მანაცემები ორსულებში და მედუძურებში პრეპარატის უსაფრთხო გამოყენების. შესაძლებელია გამოყენება 3 წლის ასაკიდან.

მონიტორინგი:

- ღვიძლის და თირკმლის ფუნქციის კონტროლი კვირაში 1-ჯერ;

თერაპია უნდა შეწყდეს თუ:

- ტრანსამინაზები ნორმაზე 3-ჯერ მეტია;
- კრეტინინის 2 ჯერადი მატების შემთხვევაში.


აღნიშნულ პრეპარატს ინდოეთში იყენებენ 2002 წლიდან, ხოლო გერმანიაში ოფიციალურად ნებადართულია 2004 წლიდან.

გარდა ეტიოტროპული მკურნალობისა აუცილებელია სიმპტომური მკურნალობა:

- ლეიშმანიოზური ინტოქსიკაციის შესამცირებლად გამოიყენება ტრადიციული დეზინტოქსიკაციურ-ინფუზიური თერაპია;
- მძიმე ანემიის დროს (ჰემატოკრიტი <30%) ჰემოტრანსფუზია თანამოსახელე ჯგუფის და რეზუსის სისხლით, ერთოროციტული მასით. მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ანემიის რეინის პრეპარატები, ვიტამინოთერაპია;
- ჰიპოპროტეინემიის და ჰიპოალბუმინემიის დროს ალბუმინის ინფუზია;
- ჰემორაგიული სინდრომის არსებობისას ან მისი პროფილაქტიკის მიზნით თრომბოციტული მასის ტრანსფუზია (თრომბოციტები $<50\times10^9/\text{ლ}$) ეტამზილატი, კალციუმის პრეპარატები;
- ლეიშმანიოზური ჰეპატიტის და ლვიძლზე ანტილეიშმანიოზური პრეპარატების ტოქსიურობის შესამცირებლად ნაჩვენებია ჰეპატოპროტექტორების გამოყენება;
- მეორადი ბაქტერიული და სეპტიური გართულებებისას – ანტიბიოტიკოთერაპია ლოკალური გაიდლაინების მიხედვით;
- ვისცერული ლეიშმანიოზის მკურნალობისას გამოიყენება სტეროიდები. მათი დანიშვნის ჩვენებას წარმოადგენს თრომბოციტოპენია, ანემია. ინიშნება პრედნიზოლონი 2-3 მგ /კგ-ზე ან დექსამეტაზონი.

ეფექტური ანტილეიშმანიოზური თერაპიის დროს სხეულის ტემპერატურა ნორმალიზდება ერთი კვირის განმავლობაში, ხოლო კლინიკო-ლაბორატორიული მაჩვენებლები უმჯობესდება ორი კვირის განმავლობაში.

მკურნალობის ალგორითმი



8. რეაგილიტაცია/მეთვალყურეობა

პაციენტის ჯანმრთელობის მდგრამარეობის კონტროლი ხორციელდება მკურნალობიდან 1, 3, და 12 თვის შემდეგ. მცირეოდენი სპლენომეგალია შეიძლება დარჩეს კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში. დაავადების რეციდივების უდიდესი ნაწილი ვითარდება პირველი 6 თვის განმავლობაში (<5% იმუნოკომპეტენტურ პაციენტებში და >80% შიდსიან ავადმყოფებში). რეციდივის შემთხვევაში, სხეულის მასა, ელექტოს ზომები, პერიფერიული სისხლის ანალიზი წარმოადგენს მგრძნობიარე პარამეტრებს (1,3,17).

წარმატებული თერაპიის შემთხვევაში ძვლის ტვინის პუნქტატში პარაზიტი არ იღებიფიცირდება. შეწყვეტილი თერაპიის შემთხვევაში (მაგალითად, პრეპარატის აუტანლობისას), კლინიკური სურათის არასაკმარისად გაუმჯობესებისას ან რეციდივზე ეჭვისას უნდა მოხდეს ძვლის ტვინის განმეორებითი ასპირაცია (17).

9. ეთიპურ-სამართლებრივი რეკომენდაციები

დღეისათვის საქართველოში ვისცერული ლეიშმანიოზის სამკურნალო სპეციფიური პრეპარატებიდან რეგისტრირებულია მხოლოდ ხუთვალენტიანი ანთიმონის პრეპარატი. აღნიშნული წამალი საქართველოში, როგორც ანტილეიშმანიოზური სასტარტო პრეპარატი, გამოიყენება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. სხვა ალტერნატივის არარსებობის გამო იგივე პრეპარატი გამოიყენება რეზისტენტობის და რეციდივის შემთხვევაშიც, თუმცა ამ დროს გლუკანტიმის ეფექტურობა გაცილებით დაბალია და შესაძლებელია ლეტალური გამოსავალიც. აღნიშნულის გამო აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს ლეიშმანიოზის სამკურნალო ალტერნატიული პრეპარატი.

საქართველოში ვისცერული ლეიშმანიოზის შემთხვევების და ამ დაავადებით გამოწვეული ლეტალობის შესამცირებლად აუცილებელია პრევენციული დონისძიებების განხორციელება.

ვისცერული ლეიშმანიოზის პრევენცია მოიცავს:

- მაწანწალა, დაავადებული და პარაზიტარებელი ძაღლების დროულ გამოვლენას (1,3);
- ბრძოლას დაავადების გადამტანის წინააღმდეგ (1,3);
- დაავადებული ადამიანების დროულ გამოვლენას და მკურნალობას (1,3).

დაავადების რეზერვუარი ცხოველების წინააღმდეგ ბრძოლა გულისხმობს:

დასახლებულ ტერიტორიაზე მაწანწალა ძაღლების არსებობის აღკვეთას, ოჯახის ძაღლების აღრიცხვას ადგილობრივი ვეტერინარული სამსახურის მიერ და მათზე ზედამხედველობას. ვისცერულ ლეიშმანიოზზე ეჭვის მიტანისას ძაღლს უნდა ჩაუტარდეს პარაზიტოლოგიური გამოკვლევა ძვლის ტვინის პუნქტით. პარაზიტების აღმოჩენის შემთხვევაში ძაღლი იზოლირებულ უნდა იქნეს და ჩაუტარდეს ანტილეიშმანიოზური მკურნალობა.

გადამტანის წინააღმდეგ ბრძოლა გულისხმობს:

სრული სანიტარიული წესრიგის უზრუნველყოფას ადამიანის კარ-მიდამოს ტერიტორიაზე და საცხოვრებელი შენობის შიგნით. გადამტანის აქტივობის სეზონში შენობების აბადვა, შენობების დამუშავება ეკოლოგიურად უსაფრთხო ინსექციდებით, მღრღნელების და მტაცებლების სოროების დამუშავება

ინსექტიციდებით, თუ ისინი ადმოჩნდება 300 მ-მდე რადიუსის დაშორებით დასახლებული პუნქტიდან (1).

პრევენციული ღონისძიებების სწორად დაგეგმვით და განხორციელებით მნიშვნელოვნად შემცირდება სახელმწიფოს მიერ ვისცერული ლეიშმანიოზის გაურნალობაზე გაწეული ხარჯებიც, რადგან ანტიარაზიტული პრეპარატების თვითდირებულება საქმაოდ მაღალია. კერძოდ, აღნიშნული დაავადების მხოლოდ სპეციფიურ მკურნალობაზე ნატრიუმის სთიბოგლუკონატით იხარჯება 150 აშშ დოლარი, მეგლუმინის ანთიმონიათით 120 აშშ დოლარი, ლიპოსომური ამფოტერიცინით 1500 აშშ დოლარი, ხოლო მილთეფოსინით 150 აშშ დოლარი.

10. გაიდლაინების გადასინჯვის და განახლების ვადა – 2 წელი.

11. გაიდლაინის მიღების ხერხი / ჟყარო

გაიდლაინი შემუშავებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გაიდლაინების საფუძველზე, სახელმძღვანელოების, საერთაშორისო კონგრესების, სიმპოზიუმების მასალების გამოყენებით. გაიდლაინში გამოყენებულია ლიტერატურა, რომელიც შეესაბამება მტკიცებულების სიძლიერის 1 და 2 დონეს (Muir Gray), რეკომენდაციის (Cook et al) A,B ხარისხს.

12. აღტერნატიული გაიდლაინი არ არსებობს

13. გამოყენებული ლიტერატურა

1. ადამიანის პროტოზოებით (უმარტივესებით) გამოწვეული დაავადებები საქართველოში. კრებული XXX5, ობილისი 2005;
2. ე.ბოცვაძე, ინფექციური დაავადებები, 2000წ, გვ. 543-546;
3. ხ.მელია, გ.სვანიძე, ა. მთვარაძე – პარენქიმულ ორგანოთა ულტრაბგერითი ცვლილებები ვისცერული ლეიშმანიოზის დროს, გვ.39-82;
4. ა.ხოჭავა, მ.ხოჭავა-ბავშვთა ინფექციონულობის, გვ. 456-462;
5. Berman J. Clinical status of agents being developed for leishmaniasis. *Expert Opin Investig Drugs.* 2005;1337-1346. [Medline];
6. Bryceson ADM. leishmaniasis in: Cook GC, ed. Manson's tropical diseases 20 th ed. london. WB Saunders 1997, 1213-45;
7. Keeling JH. Tropical parasitic infections. In: *Military Dermatology.* Textbook of Military Medicine; 1994;
8. lynne Shore Gardia-- Diagnostic medical parasitology. Fourth edition, 2001 p 205-234. მტკიცებულების სიძლიერის დონე (Muir Gray) I,რეკომენდაციის ხარისხს (Cook et al) A;
9. Murray HW. Treatment of visceral leishmaniasis in 2004. *Am J Trop Med Hyg.* Dec 2004;71(6):787-94. [Medline];
10. Nelson textbook of pediatrics 16 edition p 1041-1044;
11. Olliari PL, Ridley RG, Engel J, Sindermann H, Bryceson AD. Miltefosine in visceral leishmaniasis. *Lancet Infect Dis.* Feb 2003;3(2):70. [Medline];
12. Prasad R, Kumar R, Jaiswal BP, Singh UK. Miltefosine: an oral drug for visceral leishmaniasis. *Indian J Pediatr.* Feb 2004;71(2):143-4. [Medline];
13. Sinha PK, Ranjan A, Singh VP, et al. Visceral leishmaniasis (kala-azar)-the Bihar (India) perspective. *J Infect.* Oct 31 2005;[Medline];

14. Sundar S, Agrawal G, Rai M, Makharia MK, Murray HW. Treatment of Indian visceral leishmaniasis with single or daily infusions of low dose liposomal amphotericin B: randomised trial. *BMJ*. Aug 25 2001;323(7310):419-22. [Medline] .მტკიცებულების სიძლიერის დონე (Muir Gray) I, რეკომენდაციის ხარისხის (Cook et al) A;
15. А.А. Воробьева: Медицинская микробиология и иммунологияю 2004;
16. Лысенко А.Я.- Руководство по тропическим болезням, Москва, 1983. ст.131-152;
17. Маруашвили Г. М. Висцеральный лейшманиоз, Сабчота Сакартвело, 1983;
18. World health organization.Division of control of tropical diseases. Leishmaniasis control home page (updated2000) მტკიცებულების სიძლიერის დონე (Muir Gray) I, რეკომენდაციის ხარისხის (Cook et al) A;
19. <http://www.Leitliniem.net>. Diagnostik und Therapie der viszeralen Leishmaniasis (Kala-Azar). მტკიცებულების სიძლიერის დონე (Muir Gray) I, რეკომენდაციის ხარისხის (Cook et al) A;
20. <http://www.who.int/tdr/diseases/leish/direction.htm>-Leismaniasis. მტკიცებულების სიძლიერის დონე (Muir Gray) I, რეკომენდაციის ხარისხის (Cook et al) A.

14. აგვიტოა ჯგუფი

- ⇒ თ.ზენაიშვილი – სს „ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიის და ტროპიკული მედიცინის სემეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- ⇒ გ. ჭუბაძე – სს „ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიის და ტროპიკული მედიცინის სემეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ გენერალური დირექტორი. მედიცინის დოქტორი;
- ⇒ გ. მანჯგალაძე – სს „ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიის და ტროპიკული მედიცინის სემეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ კლინიკური განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. მედიცინის დოქტორი;
- ⇒ ნ.კოკაია – სს „ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიის და ტროპიკული მედიცინის სემეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ კლინიკური განყოფილების ექიმი.

ექსპერტები:

- ⇒ სს ინფექციური პატოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ექიმი – შ.დვალი;
- ⇒ გ.მახვილაძე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფექციური დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
- ⇒ საქართველოს ინფექციონისტთა, ჰემატოლოგთა, ჰეპატოლოგთა, პარაზოტოლოგთა, მიკრობიოლოგთა და ეპიდემიოლოგთა ასოციაციის სხდომის დასკვნა;
- ⇒ საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი – ირინა ქართსანიძე;
- ⇒ ლელა წოწორია – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი;

⇒ თეა თავიდაშვილი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი.